საქსოფლტექნიკის სპეციალიზებული სარემონტო საწარმოების ქსელი უნდა უზრუნველყოფდეს გადიდებული რესურსების მქონე მანქანა-აგრეგატების კაპიტალურ რემონტს, აგრეთვე გაცვეთილი დეტალების ცენტრალიზებულ აღდგენას.

ბევრ ჩვენს მეურნეობაში უწესივრობის აღმოფხვრას, ტექნიკური მომსახურების სამუშაოებსა და დამხმარე ოპერაციებს მთელი ცვლის ოფლის თითქმის ნახევარი ხმარდება. თანაც ამას ძირითადად აკეთებენ პრიმიტიულად, ხელით, და ამიტომ — უხარისხოდ. ასეთ პირობებში თვით ცხოვრება გვიკარნახებს, რომ საჭიროა განვახორციელოთ მანქანა-ტრაქტორთა პარკისა და ფერმების მოწყობილობის ტექნიკური მომსახურების სპეციალიზაცია „სოფლტექნიკის“ მონაწილეობით.

ამრიგად, „საქსოფლტექნიკის“ ძირითადი ამოცანა, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასთან ერთად, უნდა გახდეს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მანქანა-ტრაქტორთა პარკისა და ფერმების მოწყობილობის რემონტის და გამსაკუთრებით — ტექნიკური მომსახურების სპეციალიზაციის შემდგომი გაღრმავება.

რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ სოფლის მეურნეობაში ტრანსპორტის გამოყენების შესახებ. დღეს, როცა ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომობილების წარმოება, საჭიროა ჩვენს ხელთ არსებული საავტომობილო პარკი მაქსიმალურად მოვუმარჯვოთ ძირითადი სასოფლო-მეურნეო ეფექტს მოგვცემს ჩაის მწვანე ფოთლის, ყურძნის, ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების უტარო გადაზიდვის უკეთესი ორგანიზაცია.

რესპუბლიკის რელიეფის სპეციფიკური პირობები მოითხოვს აგრეთვე კიდევ ერთ საბაგირო და მონორელსიანი ტრანსპორტის ქსელის განვითარებას. ამ საქმეში ჩვენ საკმაო გამოცდილება გვაქვს. დღესდღეობით შექმნილია ქვეყანაში ერთადერთი სამმართველო „სუქაბაგირგზა“, რომელიც ფესვაძლებლობას გვაძლევს პირველი და საკმაოდ მტკიცე ნაბიჯები გადავდგათ დასახული ამოცანის გადაწყვეტის გზაზე. მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის დაგეგმილია აშენდეს 10 კიდევ ერთი, რომელებთაც სხვადასხვა პროდუქტს და მინერალურ სასუქს გადაკეთნთ ძნელად მისაგდომ რაიონებში.

მთის პირობებში მოსავლის ასაღები სამუშაოებისათვის საბაგირო ტრანსპორტის განვითარება უფრო ფართო მასშტაბითა და გაძლიერებული ტემპით უნდა ვაწარმოოთ. ეს დიდად პერსპექტიული საქმეა და სწორი იქნება, თუ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაკვალებთ შეიმუშაოს საჭირო ღონისძიებანი, წინადადებანი, და წარუდგინოს ისინი საქართველოს კომპარტიის, ცენტრალურ კომიტეტსა და საკავშირო ორგანოებს.

რაც შეეხება მონორელსიან ტრანსპორტს, მან უკვე პრაქტიკულად დაამტკიცა თავისი ეფექტიანობა. უკვე განსაზღვრულია სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება მონორელსიან ტრანსპორტიორებზე. ვვარდება მათი სამრეწველო გამოშვების ორგანიზაცია. ახლა ამოცანა ის არის, რომ უფრო სწრაფად დაეძლიოთ ყველა დაბრკოლება და შეავუდგეთ ამ დანადგარების მიწოდებას სოფლის მეურნეობისათვის.

ბევრი სერიოზული ნაკლი და გადაუჭრელი საკითხი გვაქვს მელიორაციის დარგშიც. არადა, ამ საქმესაც უდიდესი სახსრები ჩაესარდება. ფაქტები მოწმობს, რომ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაშიც კი არ იარწყვება მთელი სარწყავი ფართობი, არ ხორციელდება ღონისძიებანი ჭარბტენიანი მიწებიდან ზედმეტი წყლის გადასაგდებად, რომელიც უბეი წვიმების შედეგად გროვდება.

ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია მეურნეობები, სადაც სარწყავი თუ დასაშრობი ქსელი არსებითად მიშვებულია და სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვა წარმოებს უხარისხოდ, აგროტექნიკური ვადების უხეში დარღვევით. ყოველივე ამის შედეგად შარშან თითოეულ ჰექტარ დაშრობილ მიწაზე მიღებულია 24,1 ცენტნერი მარცვლეული, ხოლო სარწყავ მიწაზე 19,4 ცენტნერი. გულახდილად რომ ვთქვათ, ეს მაჩვენებლები ვერ არის სახარბიელო. ასე, გვაძლევს ფაქტიურად მინიმალურ შედეგს მიწების მელიორაციაზე დახარჯული უდიდესი შრომა და სახსრები.

ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ ამას წინათ შექმნილ „საქმთავარწყალმშენის“ სამმართველოზე, რომელმაც ენერგიულად მოჰკიდა ხელი ხელი. ახლა ამ საკავშირო დაქვემდებარების მთავარი სამმართველოს გამგებლობაშია მთელი წყალსამეურნეო მშენებლობა. ეს პასუხსაგები საქმეა. ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა მთლიანად, ზუსტად დაწესებულ ვადაში და თვისებრივად მაღალ დონეზე გაგვაზარდოთ ელექტროენერგიის ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის დამთავრების, კოლმეურნეობის დაბლობის მიწების დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების მთელი პროგრამა.

რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ახლა შესაძლებლობა მიეცა მთელი ძალ-ონე მოახმაროს საქმის თრიაო მნიშვნელოვან მხარეს — სამელიორაციო სისტემების, ექსპლოატაციას, რწყვის მასშტაბის გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, სისტემის მუშაკთა პასუხისმგებლობის გაძლიერებას სასოფლო-სამეურნეო შრომის საბოლოო შედეგებისათვის.

ლოკალური ამოცანების გადაწყვეტა, ზოგჯერ დიდი მასშტაბის, ამოცანებისაც კი, არ გამორიცხავს, პირიქით, უფრო მწვავედ აყენებს საკითხს ტექნიკის მთელი მიწების დაშრობის, რწყვის, გასარწყავების გაუმლაშურების ერთიანი გენერალური სქემის შემუშავების საკითხს. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, „საქმთავარწყალმშენმა“ და საქართველოს წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა გააძლიერონ მუშაობა ამ მიმართულებით.

გადაუდებელად უნდა გადაეწყვიტოთ აგრეთვე ეროზიასთან ბრძოლის პრობლემა. მის მასშტაბზე შეგვიძლია ვამტკიცოთ შემდეგი მონაცემების მიხედვით: ამჟამად რესპუბლიკაში ეროზირებული მიწების ფართობი 400 ათას ჰექტარს აღწევს. საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია 10 ათასზე მეტი მეწყერსაშიში უბანი. ასეთ პირობებში ყოველად შეუწყნარებელია ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებათა გენერალური სქემის დამთავრება-დამტკიცების შემდგომი გაჭიანურება. მიმდინარე წლის დამლევამდე ჩვენ სპეციალური დადგენილება უნდა მივიღოთ ამ საკითხზე.

დიდი ყურადღება სჭირდება მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებას. ჩვენ მოვახდინეთ სასოფლო წყალსადენი ქსელის მშენებლობისა და მისი მოვლის მაქსიმალური ცენტრალიზაცია. ახლა ეს საქმე მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაეკისრა. მზადდება სადირექტივო ორგანოების ახალი დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს სასოფლო წყალსადენების მშენებლობის უახლოესი შვიდი წლის პროგრამას.

დაბოლოს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის მესამე ფაქტორი გახლავთ მიწების ქიმიზაცია, რაც ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის წარმოების თანამედროვე მოთხოვნებს.

ტრანსპორტირების, შენახვისა და ნიადაგში შეტანისას მინერალური სასუქის დანაკარგი რესპუბლიკაში 10-12 პროცენტს აღწევს. და ეს მაშინ, როცა ჩვენი ინტენსიური სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება სასუქზე, სრულად ვერ კმაყოფილდება. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში მკაცრი სახელმწიფო წესრიგი უნდა დამყარდეს, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა მოითხოვა.

ახლა აუცილებელია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მისმა რაიონულმა სამსახურებმა, აგრეთვე ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უზრუნველყონ აგროქიმიური მომსახურების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განხორციელება, სამეურნეოებათშორისო და რაიონული აგროქიმიური ცენტრების შექმნა, აგრეთვე განახორციელონ უკვე მოხდებული და დამტკიცებული მინერალური სასუქისა და ზამპრიმიკატების შესანახი საწყობების ოპტიმალური განლაგების ერთიანი რესპუბლიკური სქემა. ამავე დროს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ორგანული სასუქის რაიონალურ გამოყენებას, ამ საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გადაუწყვეტელი საკითხი გვაქვს.

აგროსამრეწველო კომპლექსის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია გადამამუშავებელი მრეწველობა, რომლის პრობლემებზეც საკმაოდ საფუძვლიანად ვ�ლაპარაკეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ დარგის სიმძლავრეთა გასაადიდებლად უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა.

მაგრამ, მაგალითად, ჩაის ფაბრიკების სადღეღამისო სიმძლავრეთა 7,4 ათას ტონამდე გადიდების მუუხედავად, ჩაის ფოთლის პიკ-შემოსვლის დროს (დღეღამეში 7 ათას ტონაზე მეტი) სერიოზული დაბრკოლებები იქმნება მის მიღებასა და გადამუშავებაში. რით არის ეს გამოწვეული? პირველ რიგში იმით, რომ ძალზე გაცვეთილია ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობა და გაუარესდა დამზადებული ფოთლის მექანიკური შედგენილობა, რის შედეგადაც ალებულობს მანქანების მწარმოებლობა. ამიტომ საჭიროა მივაღწიოთ არსებული საწარმოო ფართობების უკეთ გამოყენებას, განვახორციელოთ ჩაის ფაბრიკების რეკონსტრუქცია, დავაჩქაროთ ახალი სამრეწველო ობიექტების ამოქმედება, იმ ანგარიშით, რომ გამოირიცხოს ნედლეულის გაფუჭება პიკ-შემოსვლის დროს.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა დასახა, დიდად არის დამოკიდებული მეცნიერული ნამუშევრებისა და გამოკვლევების ეფექტიანობის მკვეთრ ამაღლებაზე, მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირის განმტკიცებაზე.

ჩვენი აგრარიკოსი მეცნიერების მნიშვნელოვანი მიღწევების მიუხედავად, გაცილებით მეტს მოვალეთ სოფლის მეურნეობის მეცნიერებისაგან. ამ დარგში ქვეყანა ხშირად არაკომპლექსურად წარმოებს და პრაქტიკის მოთხოვნებს ჩამორჩება. მართალია, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა ხელი მოჰკიდა საინტერესო პრობლემების შემუშავებას. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია.

ჩვენს სოფლის მეურნეობის მეცნიერებას გარკვეულ წილად ეკისრება პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მცირეა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ჯერეკენ დონეზე არ დგას სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ცხოველების სელექციისა და გენეტიკის, მეთესლეობის გაუჯობესებისათვის მიმდინარე მუშაობა.

მეცნიერებს მეტი ყურადღება მართებთ ცეოლითების — ბუნებრივი მოლეკულური საცრებისადმი, რომელთა გამოყენება ფრიად პერსპექტიულია ნიადაგის გაჯანყოყიერებლად, საკვების გასამდიდრებლად და ა. შ.

ჩვენ აგრეთვე ვერ გვაკმაყოფილებს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მეცნიერული კვლევის დონე. წლითიწლობით იზრდება სეტყვისა და ყინვის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავებისათვის გამოყოფილი ასიგნებანი, მაგრამ შეესაბამის უკუგებას ჯერჯერობით ვერ ვიღებთ. ბუნების ეს მოვლენები კვლავ დიდ ზიანს აყენებენ ვენახებსა და ხეხილის ბაღებს.

როგორც ზედათ, ამხანაგებო, ამოცანები ჩვენი მეცნიერების წინაშე დიდი და უადრესად მნიშვნელოვანია დასახული. იმაზე, თუ როგორი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ისინი მთავარს — ფუნდამენტური სასოფლო-სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტას, დამოკიდებულია ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების აღმავლობის ტემპის ზრდა.

ეს საქმის ერთი მხარეა. მისი მეორე მხარეა სოფლის მეურნეობის პრაქტიკოსთა ერთი ნაწილის ჯერ კიდევ დაუძლეველი ინერტულობა წარმოებაში მეცნიერთა წინადადებებისა და ნამუშევრების დანერგვის საკითხებში. იმ არცთუ ბევრი რეკომენდაციიდანაც კი, რომლებსაც მეცნიერება მაინც სთავაზობს მეურნეობას, ყოველწლიურად დიდი-დიდი 30-40 პროცენტი ინერგება.

მეტად საჭიროა, რომ სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მრავალმხრივი პრობლემების შემუშავებაში უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ არა მარტო სოფლის მეურნეობის მეცნიერების მუშაკები, არამედ მთლიანად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ცოდნის ყველა დარგის მეცნიერები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის მოთხოვნის მიუხედავად, ჩვენს ეკონომისტ მეცნიერებს ჯერ კიდევ არ დაუწყიათ იმ პროცესების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა, რომლებიც ხდება ჩვენს სოფლში მეურნეობის სპეციალიზებულ და კონცენტრირებულ გაძოლასთან დაკავშირებით, რამაც წარმოება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ახალი ფორმები.

ცხოვრება, პრაქტიკა ბევრ ახალსა და საყურადღებოს წარმოშობს. ბევრ საკმეში ჩვენ სანტერესო გამოცდილება გვაქვს შეძენილი. მაგრამ ჯერ კიდევ არა გვაქვს ამ გამოცდილების მეცნიერული განზოგადება.

ავეიოოთ, მაგალითად, აგროარეულ-სამეურნეო გაერთიანების ან აბაშის, რაიონის სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანების მუშაობის გამოცდილება. ან კიდევ ჩვენს პრაქტიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი სისტემის დანერგვა, რომელმაც საკმაო ინტერესი გამოიწვია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. დავასახელებთ კიდევ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებების — მართვის რაიონული რგოლის მუშაობის გამოცდილებას. არც ერთ ამ საკითხზე, არც ერთ ამ პრობლემაზე ჩვენ არ გვაქვს ჩვენი ინსტიტუტების ფუნდამენტური ნამუშევრები, ჩვენი მეცნიერების რეკომენდაციები.

ჩვენს პრაქტიკოსებს, ჩვენს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ხომ ასეთი რეკომენდაციები მეტისმეტად სჭირდება. ამ დღეებში შესაძლებლობა გვქონდა ერთხელ კიდევ დავწმუნებულიყავით ამაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ჩვენი IX პლენუმის შემდეგ შექმნილი სოფლის მეურნეობის მართვის რაიონული საწარმოო გაერთიანებების ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს. ეს ორგანოები ახლა ჩამოყალიბების პროცესში არიან, აწყდებიან ბევრ სიძნელეს, გაუკვალავი გზით მიდიან. იმის ნაცვლად, რომ დაეხმარონ, რჩევა-დარიგება მისცენ მათ ადგილზეს, დააბრალონ ზეგანდელ მეურნეობათა ერთიერთობის ფორმები. ესე იგი აქტიური გავლენა მოახდინონ ამქმაოდ მიმდინარე პროცესების დაჩქარებაზე, ბევრმა ჩვენმა ეკონომისტმა მეცნიერმა მოლოდინის პოზიცია დაიკავა, ყველაფერს გარედან უყურებს, და იმ შემთხვევაში, თუ ექსპერიმენტი მოსალოდნელ შედეგს **არ** მოიტანს, იტყვიან, ჩვენ რა შუაში ვართო.

ახლა, როცა საბჭოთა სოფელში მიმდინარეობს საწარმოო ძალების განვითარების და წარმოებითი ურთიერთობის დახვეწის დინამიკური პროცესები, უფლება გვაქვს ჩვენი ისტორიკოსებისგან, ფილოსოფოსებისაგან, სოციოლოგებისაგან მოველოდეთ ღრმა თეორიულ გამოკვლევებს. დიდ მუშაობას ეწევა ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია. ამაზე მრავალგზის გვოლაპარაკია. თუმცა მაინც მიგვაჩნია, რომ იგი ჯერ კიდევ ვალშია მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა წინაშე. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, დღემდე არ შექმნილი ჩვენი თანამედროვეების შესანიშნავ მიღწევათა ღირსი მკაფიო მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის საკითხებს. პლენუმის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ სპეციალურად მოამზადებულ კრებულში დაბეჭდილ მასალებს. ეს ძალიან საინტერესო მასალებია, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ მოვიგონოთ მნიშვნელოვანი შეჯერება-განზოგადება. კერძოდ, მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპით — 180 პროცენტი და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპით — 79 პროცენტი — საქართველოს სსრ რესპუბლიკამ მეათე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში მეშვიდე ხუთწლედთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუსწრო საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებს.

სამწუხაროდ, გაცილებით მეტია ციფრები, რომლებიც ჩვენს სასარგებლოდ არ მეტყველებს. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის მეცხოველეობის პროდუქტიულობის, სიმაღლის, ბოსტნეულის, კარტოფილის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ბოსტნეულის, ხილეულის, ბამბის, ბოსტნეულის, კარტოფილის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, საკვები ძირხვენების მოსავლიანობის, სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა პროდუქტის თვითღირებულების მაჩვენებლები.

ანალოგიური სტატისტიკური კრებული მოამზადა საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომაც. იგი თქვენ დაგიტოვდათ, და დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული თქვენგანი ღრმად დაანალიზებს ყველა ამ მასალას, შეაჯერებს მონაცემებს, განსაზღვრავს იმ რაიონისა თუ ფერმის ადგილს საერთო-რესპუბლიკურ მაჩვენებლებში, რომლებსაც იგი ხელმძღვანელობს, გამოიტანს აქედან სერიოზულ დასკვნებს და აქტიურად ეძიოთ დასახავს მათი გაუჯობესების ღონისძიებებს.

ისევე როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე, სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოთ დაგეგვის, სტიმულირების, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის კავშირურთიერთობის გაუჯობესების ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის საკითხებს.

საქმე ის არის, რომ ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის პროცესები ეხებოდეს აგროსამრეწველო კომპლექსის მთელი ჯაჭვის რგოლებს: მრეწველობას, რომელიც ქმნის წარმოების საშუალებებს სოფლის მეურნეობისათვის, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს აშუშავებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში მოცემულია მითითება, რომ, მეთერთმეტე ხუთწლედიდან, რესპუბლიკებს, მხარეებს, ოლქებს, რაიონებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაუწესდეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის ერთიანი დაძაბული, მაგრამ რეალური გეგმა ხუთი წლისათვის წლების მიხედვით.

გარდა ამისა, პლენუმმა მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება რძის, მატყლის, ყორაყლის, ცხრის ხორცის, კარტოფილისა და ზოგიერთი სახეობის ბოსტნეულის შესასყიდი ფასების მომატების შესახებ, (საცალო ფასების შეუცვლელად). ამ პროდუქტების ფასების მომატებით მეურნეობებისათვის დამატებითი სახლაური ქვეყანაში 3.200 მილიონ მანეთს შეადგენს წელიწადში.

პლენუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალა განაგრძოს მუშაობა შესასყიდი ფასების სრულყოფისათვის. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების სწორი და მეცნიერულად დასაბუთებული განსაზღვრის საკითხი სერიოზული ხარვეზებია. ბევრ პროდუქტზე დაწესებული არ არის ოპტიმალური შესასყიდი ფასები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, პროდუქციის მოცულობის გადიდებით და ხარისხის გაუჯობესებით მეურნეობათა დაინტერესების ამაღლებას. ასეთი მდგომარეობა დიდ ამოკანებს უსახავს რესპუბლიკის ფასების სახელმწიფო კომიტეტს, რომელიც ამ საკითხებში ყოველთვის ვერ ახერხებს აქტიურობასა და ინიციატივას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მთელი რიგი დადგენილებანი მიიღეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომლებითაც ჯათვალისწინებულია მეათე და მეთერთმეტე ხუთწლედებისათვის მოქმედების გრძელვადიანი პროგრამა.

ეჭვი არ არის, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი უზრუნველყოფს ბევრი ჩვენი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკის მნიშვნელოვან განმტკიცებას, რომელთა მაჩვენებლები ჯერ კიდევ მეტად არადამაკმაყოფილებელია.

1 ივლისისათვის რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებს 600 მილიონ მანეთამდე დავალიანება ჰქონდათ ბანკის მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტებით, მათგან დაახლოებით 32 მილიონი მანეთი ვადაგასულია. გარდა ამისა, წლის დადგომისთვის საბჭოთა მეურნეობებს საბრუნავ საშუალებებში ჰქონდათ გარღვევა 39 მილიონი მანეთის ოდენობით, ხოლო კოლმეურნეობათა ვადაგასული დავალიანების თანხა მარტო შრომის ანაზღაურების მხრივ 10 მილიონ მანეთს აღემატებოდა.

მართალია, ზოგიერთი ჩვენი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკის შესუსტებისათვის ობიექტური წინაძღვრებიც იყო. ეს არის ძირადღირებული მეცხოველეობის ობიექტების მშენებლობისათვის გამოყოფილი სულ უფრო მზარდი კაპიტალური დანახარჯები, დიდ ფართობებზე მრავალწლოვანი ნარგავების გაშენება, რომლებიც ჯერჯერობით მოსავალს არ იძლევიან. ეს არის საშენი მასალებისა და ტექნიკის გაძვირება. დაბოლოს, ეს არის სტიქიური უბედურებანი — გაზაფხულის სუსხი, სეტყვა, წყალდიდობა.

მაგრამ სწორი არ იქნება მთელი ზარალი ამ ობიექტურ ფაქტორებს მიეაწეროთ. საკმაოდ ხშირად ვაწყდებით უყაირათობას, უგულგილობას, იმას, რომ არ იცით სახელმწიფო კაპიკის დათვლა, რაც ხშირად დოყლაპობის მიზეზია. განა ცუდი ამბიდან ბრალია, რომ ჩვენში არ უფიფთხილდებიან ტექნიკას, ცუდად უვლიან მექანიზმებს, რის გამოც იგი სწრაფად გამოფის. მწყობრიდან? ეს კი იწვევს მექანიზაციის დაბალ დონეს, შრომის მაღალ პირფაირ დანახარჯებს, იმას, რომ შრომის ნაყოფიერება ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ძალიან დაბალია.

განა უნარიანად შეიძლება ჩაითვალოს სოფლის მეურნეობისადმი ხელქმედველობა, მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სადაც შარშან თხუთმეტმავე საბჭოთა მეურნეობამ აწარმოა 9,6 მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქცია, ხოლო მათმა ზარალმა 4,2 მილიონი მანეთი შეადგინა, სხვანაირად რომ ვთქვათ, წარმოებული პროდუქციის ყოველ მანეთზე დახარჯეს დაახლოებით მანეთ-ნახევარი? ბუნებრივია, ასეთი, უკაცრელი პასუხია, მეურნეობრიობით ვერ მივიღწევთ არა მარტო გაფართოებულ კვლაწარმოებას, არამედ ელემენტარულად თავსაც ვერ გავიტანთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სოფლის მეურნეობის სამინისტროო სერიოზულად უნდა დაიბმარონ ამხანაგებს სამხრეთ ოსეთიდან, გაითვალისწინონ იქ შექმნილი განსაკუთრებული პირობები, რომლებსაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა: პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯეროვანი სიღრმით არ სწვდებიან ეკონომიკის საკითხებს, არ ანალიზებენ, არ ეძებენ კოლმეურნეობებისა და საბჭ

სოფლის მეურნეობის აღმავლობა საყოველთაო-სახალხო საქმეა, საერთო საზრუნავია

(დასასრული)

როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გაგლენას ახდენს უწყვეტი დაქსაქსულობის ძალა, ეს კი სერიოზული მუხრუჭია ავროსამრეწველო ინტეგრაციისათვის მუშაობაში.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ითქვა, სამეურნეოთაათშორისო კოოპერაციის საკითხები მუდამ უნდა იდგეს სოფლის პარტიორგანიზაციათა, რაიონული, საოლქო და რესპუბლიკური ხელმძღვანელი ორგანოების დღის წესრიგში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, დარგის მართვის სრულყოფის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მაღალგანვითარებულ სექტორად მისი გადაქცევის საკითხთა გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, კერძოდ, საშუალო რგოლის კადრებს. ამასთან დაკავშირებით ყოველად შეუწყნარებელია, რომ ჩვენში ამქამად კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეოთაშორისო საწარმოების 14 ათასი განყოფილებიდან, ბრიგადიდან, ფერმიდან 6.200-ზე მეტს მეთაურობენ პრაქტიკოსები, მაშინ, როცა რესპუბლიკაში ყოველწლიურად მზადდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სოფლის მეურნეობის 4 ათასამდე სპეციალისტი.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება სოფლის მეურნეობის საშუალო რგოლის კადრების განმტკიცების შესახებ. როსტოვის საოლქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილების მიხედვით, შეიძუშავეს ამ კადრების მომზადების, გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების, ატესტაციის სამი წლის პროგრამა, რათა 1980 წლის დამლევისათვის საშუალო რგოლის ყველა ქვეგანყოფილებას 95 პროცენტზე მეტს მეთაურობდნენ მხოლოდ სპეციალისტები.

ახლა ყველა პარტიული კომიტეტის, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ამოცანა ის არის, რომ უთუოდ უზრუნველყონ მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სრული მოცულობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო საზოგადოებრივი და პირადი დამზმარე მეურნეობის ინტენსივობის სწორი შეხამების საკითხებს. აღინიშნა, რომ კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობა დღესაც მიწამოქმედებისა და მეცხოველეობის სასაქონლო პროდუქციის გადიდების სერიოზული რეზერვია, ამიტომ საჭიროა საკარმიდამო მეურნეობის განვითარების პროცესების რეგულირება, რათა, ჯერ ერთი, ყოველნაირად მივცეთ სტიმული ამ მეურნეობაში პროდუქციის წარმოების ზრდას, და მეორე, გავაძლიერთ ბრძოლა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სპეკულაციის, მოგებეჭლობის, ცალკეული უპატიოსნო ადამიანების ამ მისწრაფების წინააღმდეგ, რომ გამდიდრდნენ უშრომელი შემოსავლის ხარჯზე.

როგორც ცნობილია, ახლახან მიღებულია რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების დადგენილება კოლმეურნეთა, მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა პირადი საკარმიდამო მეურნეობების და კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარების შესახებ. ამ დღეებში მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა დებულება კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის მიწის ნაკვეთების შეურეგისა და გამოყოფის წესის შესახებ, ხოლო რაიონულმა კომისიებმა უკვე დაიწყეს ამ მიზნით გამოსაყოფი ნაკვეთების აღრიცხვა. ზოგიერთ საწარმოსა და დაწესებულებაში იქმნება მებაღეობისა და მებოსტნეობის კოოპერატივები.

ეს მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოა, რომელიც დიდ სიფრთხილეს და ყურადღებას მოითხოვს. მოქალაქეებისათვის მიწის აკვეთების გამოყოფა დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემების გადაწყვეტასთან, როგორიცაა ქვების პროდუქტების რესურსების გადიდება, მშრომელთა დასვენების პირობების, გაუმჯობესება, დასვენების საათებში დასაქმების ამაღლება, ჯანსაღ შრომაში მოზარდთა ჩაბმა, რასაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, და სხვ. პერსპექტივაში, როცა ამ მიზნით გამოყოფილი ათასობით ჰექტარი ტიალი მიწა, ბალებით, ვენახებით, ბოსტნებით დაიფარება, რამდენადაც გადვიდეთ მოსახლეობის ხილით, ბოსტნეულით, მეფრინველეობის პროდუქტებითა და სხვა სურსათით უზრუნველყოფის პრობლემების გადაწყვეტა.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ბევრად გაადიდდება სასურსათო პროდუქტების რესურსები. ამასთან დაკავშირებით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების ახალ სისტემას, რომელიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა "მეურნეობებში სულ უფრო უმჯობესდება და ქმნის ოპტიმალურ პირობებს საკარმიდამო ნაკვეთებზე მოყვანილი ჯარის პროდუქტების რეალიზაციისათვის. **სწორედ ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კვლავაც განახორციელებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე მოსახლეობის მეურნეობებში წარმოებული სოფლის მეურნეობა პროდუქტების რეალიზაციის დაწესებული და უკვე გამოცდილი წესის დაცვის მტკიცე ბაზის.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ლენინი ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა, რომ სოფლად მშენებლობის განვითარებისათვის, ზრუნვა ახლა პარტიის აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი გახდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ რესპუბლიკაში საკმაო მუშაობა განხორციელდა სასოფლო მშენებლობის მასშტაბის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ცვლილებები, მართლაც რომ უდიდესია, მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ხარვეზები და ნაკლოვანებანი. საკმარისი ტემპით ვერ ვითარდება სოფლად მშენებლობის საწარმოო ბაზა. საიჯარო სამუშაოთა საერთო გეგმის შესრულებისას რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტრო სისტემატურად ვერ ითვისებს „სოფლის მეურნეობის" დარგის მიხედვით გამოყოფილ სახსრებს. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, არ შესრულებულა 27,3 მილიონი მანეთის სამუშაოები, რომელთა მნიშვნელოვანი წილი შოდის ბოლო ორ წელზე. ამის შედეგად სასოფლო-სამეურნეო წარმოებას სისტემატურად აკლდება მრავალი მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები. მარტო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით 1977 წელს საექსპლოატაციოდ არ გადაუციათ 185 ობიექტი, რომელთა ძირითადი ფონდების ღირებულება 40 მილიონი მანეთია. სასოფლო მშენებლობის სამინისტრო ქალაქებში უფრო მეტს აშენებს და რესურსებსა და ყურადღებას აკლებს სასოფლო მშენებლობებს. ამრიგად, მთლიანად გეგმის შესრულება სამინისტროს ხაზით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მშენებლობათა საზიანოდ ხდება.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი მეტად ნელა უმჯობესდება, ბევრი ობიექტი ხარვეზებით ბარდება. სერიოზული ნაკლოვანებანია სასოფლო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვაში. ხშირად სახსრები იქსაქსება მრავალ მშენებლობაზე. კაპიტალდაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დაგეგმილი მოცულობები ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დაკავშირებული დაფინანსებასთან, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, ტექნოლოგიური მოწყობილობით უზრუნველყოფასთან.

დაპროექტებასა და მშენებლობაში საკმარისად არ არის გათვალისწინებული სოფლის სპეციფიკური პირობები. ყოველივეს ჯერჯერობით ყურადღება როდი ექცევა კომპლექსურ ექსპერიმენტულ მშენებლობას.

ნაკლოვანებანი სასოფლო მშენებლობაში მნიშვნელოვანწილად იმითაც არის გამოწვეული, რომ ჩვენში დღემდე არ არის ერთიანი შემაკავთის სამსახური. მაგალითად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით სამუშაოები ერთდროულად წარმოებს 1.500-ზე მეტ ობიექტზე. ამასთან 600-ზე მეტი მეურნეობა და საწარმო დამოუკიდებელი შემკვეთია, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ასეთი სისტემის დროს სამინისტროს ხელმძღვანელობასა და კონტროლს წმინდა ფორმალური ხასიათი აქვს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და რესპუბლიკის მთავრობამ გაითვალისწინეს ეს ვითარება და რამდენიმე დღის წინათ მიიღეს გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში ერთიანი შემკვეთის სამსახურის შექმნის შესახებ. ამ ორგანომ უნდა ეკისროს სასოფლო მშენებლობის პროცესების მართვის ყველა საკითხი. ვფიქრობთ, რომ მიზანშეწონილია სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავუქვემდებაროთ საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტი. ეს სამინისტროს შესაძლებლობას მისცემს მთლიანად განახორციელოს ერთიანი სამშენებლო პოლიტიკა სოფლად.

საჭიროა მოწესრიგდეს ინდივიდუალური და კოოპერაციული სპეციალ მშენებლობა სოფლის მოსახლეობის მონაწილეობით, აგრეთვე ბინების მშენებლობა კოლმეურნეთა სახლრებით.

ახალი მშენებლობა უნდა შეეხამებოდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული საწარმოო ობიექტების რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციას, მაგრამ ამ მიზნით გამოიყოფა მხოლოდ დარგის განვითარებისათვის გათვალისწინებული სახსრების 16 პროცენტი, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით კი უფრო ნაკლებიც, ცხრა პროცენტი, მაშინ, როცა მთლიანად საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მოქმედ სამძღვარეთა რეკონსტრუქციისა და განახლების კაპიტალური დაბანდებანი 23 პროცენტს შეადგენს.

სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით მთიანი რაიონების მოსახლეობის, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სიარტომობილო გზები. უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში გაწეულია საკმაო მუშაობა საგზაო მშენებლობის შემდგომი სრულყოფისათვის. შესრულდა ხაშურ-ზესტაფონის, თბილისი-მარნეულისა და სხვა გზების რეკონსტრუქციის სამუშაოთა მნიშვნელოვანი მოცულობა. მოკლე დროში დამთავრდა გზის მშენებლობა სვანეთში. უახლოესი პერსპექტივისათვის განსაზღვრულია აჭარის, ფშავ-ხევსურეთისა და მთათუშეთის მთიანი რაიონებისაკენ გზების მშენებლობის პროგრამა.

სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოებმა, ხაროვანებმა და სამშენებლო ორგანიზაციებმა უფრო აქტიური დამხმარეა უნდა გაუწიონ სოფლის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბაზის განმტკიცებაში. თითოეულ საწარმოს უნდა ჰქონდეს სამეფო დახმარების კონკრეტული გეგმები — ისეთი გეგმები, როგორიც თბილისს კიროვის რაიონს აქვს. თბილისს, ქუთაისს, რუსთავისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებს მთელი რიგი საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეფო დახმარების მეთხებთან აშენდა მრავალი სასეანე ტრანზეა, მეცხოველეობის სადგომი, საკვების სამშრომ. ეს პრაქტიკა კვლავაც უნდა განვავითაროთ.

ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა განსაზღვრა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი. ახალ ეტაპს, კი როგორც პლენუმზე აღინიშნა, უნდა შეესაბამებოდეს პარტიული ხელმძღვანელობის უფრო მაღალი დონეც, მასებში მუშაობის უფრო სრულყოფილი მეთოდებიც.

ახლახან, ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმზე, ვაიმართა სერიოზული, ერთობ საფუძვლიანი სხვა-ბასი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების მიხედვით, პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი სრულყოფის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესების ამოცანათა შესახებ.

დღეს საქმე უნდა ეხებოდეს ამას, რომ საბრძოლოდ მოვამზადოთ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალება, დავრაზმოთ ქალაქისა და სოფლის კომუნისტები, ყველა მშრომელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივნისის პლენუმის მასალებსა და გადაწყვეტილებებში. პლენუმზე ამხანაგ ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებაში მოცემული ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გრანდიოზული პროგრამის განსახორციელებლად საყოველთაო-სახალხო ბრძოლისათვის. პლენუმის გადაწყვეტილებანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მოქმედების გრძელვადიანი პროგრამაა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის, პირველად პარტიულ ორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის, რომლებიც მოწოდებული არიან უშუალოდ წყვეტდნენ სოფლად საწარმოო ხასიათის და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანებს.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში გაწეულია გარკვეული მუშაობა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პირველადი პარტორგანიზაციების სტრუქტურის სრულყოფისათვის, რის შედეგადაც ამ ორგანიზაციათა 40 პროცენტში შეიქმნა პარტიული კომიტეტები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე გაცილებით უკეთ არიან განაწილებული კომუნისტები. 1965 წელთან შედარებით სოფლად მომუშავე კომუნისტთა რიცხვი 40 ათასი კაცით გაზარდა და ახლა 171.400-ზე მეტ სკკპ წევრსა და წევრობის კანდიდატს შეადგენს. ამავე პერიოდში თითქმის ერთიოროად გაიზარდა სოფლის მეურნეობის მექანიზატორ კომუნისტთა რიცხვი, დასახარ მეფენახეობაში, მეჩაიეობაში, მებოსტნეობაში, მეცხოველეობაში მომუშავე კომუნისტთა რიცხვის ზრდის ტენდენცია. 1965 წელთან შედარებით კომუნისტთა რიცხვი სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა შორის ოთხი ათასით და მეტად გაიზარდა. ეს დიდი არმიაა, დიდი ძალაა და მთლიანად უნდა ავამოქმედოთ იგი.

ამოცანა ის არის, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ სოფლად პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, ხალხური დეპუტატთა საბჭოების, სახალხო კონტროლის ორგანოების ყველა შესაძლებლობა, უზრუნველყოთ მათი მიზანდასახული და ეფექტიანი მუშაობა პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ საჭიროა კიდევ უფრო ამაღლდეს პარტიის სასოფლო რაიკომების, როგორც სოფლად მთავარი პოლიტიკური ორგანოების, სოფლის ეკონომიკის სოციალური და კულტურული ცხოვრებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ავტორიტეტიანი ორგანოების როლი.

უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი ჩვენი სასოფლო რაიკომი ორგანიზაციულად და პოლიტიკურად გაძლიერდა, ისწავლა სოფლად მიმდინარე პროცესების უნარიანი ხელმძღვანელობა, ღრმად, კომპეტენტურად წყვეტს ეკონომიკურ და სოციალურ ამოცანებს. სწორედ ამის მეოხებით რესპუბლიკამ მიაღწია გარკვეულ წარმატებებს მემცენარეობაში და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებაში.

ამავე დროს, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმზე აღინიშნა, პარტიის ზოგიერთმა რაიკომმა, მათმა მბეურებმა, მდივნებმა, განყოფილებებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების სრული შესაბამისობით.

პარტიის მთელი როგორ სასოფლო რაიკომების მუშაობაში ელინდება თვითდაბმულობა. ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელი სჯერდება საერთო სასაკეთო საქმეურნეო მაჩვენებლებს, ჯერჯერობით არ აფასებს ღრმა ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობას, ვერ ხედავს პერსპექტივას, საკმაოდ ურაგდ ვერ ყენებს ფუფუნებებს, შრომის ნაყოფიერების გადიდებს, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებს, მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელების ზედიდო ზინაგან რეზერვებსა და შესაძლებლობებს.

ასეთი პარტიული კომიტეტების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ პარტიის ოხის რაიკომი, რომელიც დღემდე ღრმად ვერ გარკვეულა ეკონომიკის პრობლემებში, ზოგჯერ სამეურნეო მშენებლობისადმი პარტიულ მეთოდებს ზემოქმედების ადმინისტრაციული ღონისძიებით ცვლის.

ამას წინათ პარტიის წოლკის რაიკომის კომპეტენტური შემოწმებამ ცხადყო, რომ რაიონის პარტორგანიზაციაში სოფლის მეურნეობის დასაქმებულ კომუნისტთა ხვედრითი წონა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე 10 პროცენტით შეტეიზა, თუმცა მთლიანად პარტორგანიზაციის რიცხვი გაიზარდა.

ჩვენ ჯერ კიდევ ვეწყდებით ფაქტებს, როცა რაიონებს, რომლებიც ერთნაირ პირობებში არიან, სრულიად სხვადასხვა მაჩვენებლები აქვთ სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

ჩვენს წინაშეა სამი მეზობელი რაიონის — ცხინვალის, ხობისა და წულუკიძის რაიონის მონაცემები.

ცხინვალის რაიონში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 53,4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მეათე ხუთწლედის ორ წელიწადში, მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდამ 60 პროცენტს მიაღწია, მაშინ, როცა საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებელი 23 პროცენტია. პროდუქციის წარმოება სასოფლო-სამეურნეო საფარგულების ყოველ 100 ჰექტარზე გაიზარდა 37,7 პროცენტით.

ხობის რაიონში მიმდინარე ხუთწლედის 2,5 წლის განმავლობაში სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით ჩაბარეს ათას ტონაზე მეტი ხორცი და ამდენივე რძე. სიმინდის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე მიაღწია 35 ცენტნერს, გეგმით გათვალისწინებული 24,3 ცენტნერის ნაცვლად. ციტრუსოვანთა მოსავლიანობა გაიზარდა სამჯერ და მეტად.

ამ ორ რაიონში მიღწეული ეკონომიკური წარმატებანი პარტიული ორგანიზაციების მიზანმიმართული, გააზრებული მუშაობის შედეგია. პარტიის რაიონული კომიტეტები ყარგად არიან ინფორმირებული მეურნეობებში საქმეთა მდგომარეობის შესახებ, აქ ზუსტად არის დაყენებული შესრულების კონტროლი.

პარტიის ხობის რაიკომთან, მაგალითად, შექმნილია ეკონომიკური ანალიზის საბჭო და სპეციალური საბჭო, რომლებიც სოფლის აქტივისტებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დახმარებით ყოველდღიურად აკვანებენ მუშაობის შედეგებს, ეხმარებიან სამეურნეო ხელმძღვანელებს ნაკლოვანებების გამოვლინებისა და აღმოფხვრაში, სთავაზობენ განსახორციელო ესა თუ ის ოპერატიული ღონისძიება. ამრიგად, პარტიის რაიკომმა იცის ადგილებზე საქმის მდგომარეობა, გაგლენას ახდენს რაიონში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე, მართავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა ბერკეტს.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით მეზობელი, წულუკიძის რაიონის შესახებ. ეს რაიკომი ჩვენ არაერთხელ გავკრიტიკეთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, ბიუროს სხდომებზე, რესპუბლიკურ თათბირებზე, გავაკრიტიკეთ, კერძოდ, ეკონომიკისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში სერიოზული ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისათვის.

რა დასკვნა გამოიტანეს ამხანაგებმა ამ კრიტიკიდან? სამწუხაროდ, ღღეს გვიხდება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ რაიკომის მუშაობის სტილსა და მეთოდებში სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა.

ყოველივე ამან გავლენა მოახდინა სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე. 1973-1977 წლების მანძილზე რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ვერ შეასრულეს მოსტნეულის, ხილის, ყურძნის, მარცვლეულის, ხორცის წარმოების გეგმები.

ჩვენ ისევ მივმართეთ სხვადასხვა რაიონის მაჩვენებლების, მუშაობის სხვადასხვა სტილის შედარებას იმისათვის, რომ პარტიის ყველა რაიონულმა კომიტეტმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამოიტანონ დასკვნები.

უნდა მივაღწიოთ ამას, რომ ჩვენი პარტიული, სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლი, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის ადამიანებთან, სოფლის სოციალურ განვითარებასთან, მუშაობდეს ზუსტად და შეუფერხებლად.

ამის მიღწევას შეეძლებთ, თუ ეიმოქმედებთ პარტიული მეთოდებით, — გავაუმჯობესებთ კადრებთან მუშაობას, ავამაღლებთ მათს პოლიტიკურ წრთობასა და პროფესიულ მომზადებას, განვამტკიცებთ საშემსრულებლო დისციპლინას, სრულყოფთ შესრულების კონტროლისა და შემოწმების სისტემას, ყოველნაირად გავაძლიერებთ თავის თავისა და სხვებისადმი მომთხოვნელობას, კომპლექსურად მივუდგებით მშრომელთა აღზრდას.

სამეცნიერო ენებზე ამბობ, რომ სოფლად ორგანიზაციულ-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზატორული და ideologიური უზრუნველყოფა უნდა გახდეს მთელი ჩვენი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი სოფლის მეურნეობის შემდგომი ამაღლების პროგრამის განხორციელებისათვის.

ბრძოლამ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის არ უნდა მიჩქმალოს ადამიანი, რომლის შრომითაც ვაღწევთ ამ მაჩვენებლებს. ადამიანისათვის ზრუნვა ხომ საბოლოო ანგარიშით იმისათვის ზრუნვაა, რომ უმაღლეს შედეგებს მივაღწიოთ შრომაში.

ამ დღეებში ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ. დადგენილებაში დასახულია ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ კომუნისტები, ყველა მშრომელი გაეცნოს პლენუმის მასალებს, მის სულისკვეთებას, მის მიმართულებას, მისი მნიშვნელობის პროპაგანდას, აგრეთვე განსაზღვრულია ადგილებზე ამ მასალების განხილვის წესი.

ივლისში გათვალისწინებულია მოეწყოს პარტიის აფიზარეთი, აქართანა და სამხრეთ ოსეთის სოლოქო კომიტეტების პლენუმები. ივლის-აგვისტოში პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმები, აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და ჩაის საკრეფ მანქანის საკვესთან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, ყველა კომკავშირული ორგანიზაციის, მთელი ჩვენი მებრძოლი კომკავშირის ყალი მუდამ მზარს უჭერდნენ სოფლის ახალგაზრდა მშრომელთა შემოქმედებით ძიებასა და ინიციატივას, დაუცხრომლად ზრუნავდნენ მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, ახალგაზრდობის მზარდი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, იწვოდნენ ახალგაზრდობაში ფართო მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას.

გაცნონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი თითოეულ კომუნისტს, თითოეულ ადამიანს, უზრუნველყონ პლენუმის მასალების ღრმა ახსნა-განმარტება მშრომელთა ფართო მასებში — ახლოთა ყველა პარტიული ორგანიზაციის ყველაზე საარსებო ამოცანა. ამ საქმის უნარიანი წარმართვისათვის, უნდა გამოვიყენოთ ორგანიზატორული და ideologიური-პოლიტიკური ზემოქმედების ყველა ფორმა, ყველა საშუალება — სალექციო პროპაგანდა, პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა, თვალსაჩინო აგიტაცია, ამასთან ფართოდ ჩაგიბმთ ამ მუშაობაში ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო კადრები, სპეციალისტები, მეცნიერები, წარმოების ნოვატორები, საუკეთესო პროპაგანდისტული ძალები, ჩვენი სოფლის ინტელიგენციის მრავალთასიანი რაზმი — მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, ინჟინრები, ჩვენი ხსტვრული ინტელიგენცია.

პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და რეალიზაციისათვის საქმიანობის ფართო სარბიელი იშლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წინაშე. საჭირო მეტი ინიციატივა და შემოქმედებითი ძიება მოუწევთ საოოფლო-სამეურნეო გამოცდილების ჩვენებაში, ქვეყნის საუკეთესო მეურნეობათა მიღწევების, ყოველივე იმ მნიშვნელოვანის პროპაგანდასა და დანერგვაში, რაც დაგროვილია მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში, მფლანგველობისა და დოყლაპიობის, სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი უუნარო, არაკომპეტენტური ხელმძღვანელობის ფაქტების გაკიცხვა — აი ჩვენი ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობის, ყველა ჩვენი ჟურნალისტის საბრძოლო ამოცანა.

დღეს განსაკუთრებით საჭიროა ყველაზე სერიოზული მიდგომა სოციალისტური შეჯიბრების — მასების შემოქმედებითი აქტიურობისა და ინიციატივის ზრდის ამ ყველაზე მძლავრი სტიმულის ორგანიზებაისადმი. ამასთან უპირველესი მნიშვნელოვნა აქვს შეჯიბრების არა მარტო უშუალო გავლენას მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევაზე, არამედ უდიდეს ადამზრდელობით შესაძლებლობებს, რომლებიც მასშია ჩაქსოვილი. **სოციალისტური შეჯიბრების ეკონომიკური მიზანი ხელს უნდა უწყობდეს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის, ადამიანთა შრომითი აღზრდის ეფექტიანობის ამაღლებას და პირიქით.**

ამხანაგებო!

თავისი მოხსენების დასაყოლიებელ ლენინ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა მეტად საგულისხმო გარემოება: სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმი მიმდინარეობდა სწორედ იმ პერიოდში, როცა შესრულდა ვ. ი. ლენინის ერთ-ერთი მთავარი ავტორული ნაშრომის, ლენინური აზრის თვალსაჩინო ქმნილების — „ეკოპერაციის შესახებ" სტატიის გამოსვლის 55-ე წლისთავი. ამ შრომაში მან სოფლის მშრომელ მასებს უჩვენა ახალი ცხოვრების მთავარი გზა.

ვ. ი. ლენინის სტატია პირველად გამოქვეყნდა „პრავდაში" 1923 წლის მაისში. და სულ რამდენიმე დღის შემდეგ იგი ითარგმნა ქართულ ენაზე და დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში".

ლენინის „კოოპერაციული გეგმა მაშინვე დაედო საფუძვლად საქართველოს კომპარტიის საქართველოს მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის.

დღეს ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ხორციელდება ლენინის ანდერძი, როგორ იძენს ახალ ძალას ლენინის კოოპერაციული გეგმა, როგორ რაზმავენ კომუნისტებს, მთელ საბჭოთა ხალხს ლენინის იდეები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი აღმავლობისათვის მტკიცედ საბრძოლველად.

ლენინის აგრარული პოლიტიკა შემდგომ განვითარებას პოულობს ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის შრომებში, რომელიც შემუშავა თანამედროვე ეტაპზე, მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის პირობებში სოფლის მეურნეობის სრულყოფის ღონე, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა.

ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ჩვენ ვთქვეთ, რომ ეს პლენუმი ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენაა: მას ელოდა მთელი ჩვენი პარტია, ელოდა მთელი საბჭოთა ხალხი. ნამ ცხობილია, **რომ ელიან მაშინ, როცა სწვამ, ხოლო სწვამ მაშინ, როცა იცან, რომ ხიტყვა და საქმე ერთია!** ეს კი ჩვენი ლენინური პარტიის წმიდათაწმიდა ანონია!

პარტიისა და ხალხის მოლოდინი სავსებით გამართლდა. თითოეულ კომუნისტს, თითოეულ საბჭოთა ადამიანს განუმტკიცდა იმედი, რწმენა, მრწამსი, რომ პარტიის რეალისტური პროგრამა სოფლის მეურნეობის შემდგომი ამაღლების შესახებ შესრულდება. ახლა თითოეულმა იცის, რომ მის პირად მონაწილეობაზე, მის თავდადებულ შრომასა და სიმტკიცეზე დამოკიდებულია, რამდენად სწრაფად ვიგლეთ 1965 წლის მარტის პლენუმის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებისა და ყრილობების მიერ შემუშავებული კურსით.

ახლა თითოეული ჩვენგანი ხედავს, რომ პარტიისადმი სიყვარული და სამშე ერთია. ეს არის ერთი ჭეშმარიტი ნებისმიერ ადამიანისა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გამოიტანა მტკიცე რწმენა, რომ მის გადაწყვეტილებებს ერთსულოვნად მოიწონებენ.

ნება მიბრძანეთ თქვენი სახელით აღვუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა საქართველოს კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, მექანიზატორები, სპეციალისტები, მეცნიერები, მეურნეობათა ხელმძღვანელები, მრეწველობის მუშაკები, ყველა მშრომელი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, პლენუმის გადაწყვეტილებებს აღიქვამენ ღვიძლ საქმედ და მზად არიან თავდადებული შრომით უზრუნველყონ მათი წარმატებით შესრულება.

უცხოეთის ამბები

კაირო, 18 ივლისი. (საკდესი). დამფუძნებელმა სახალხო კრებამ ეიმენის არაბთა რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტად აირჩია ალი აბდალა სალეჰი. იგი დანიშნეს აგრეთვე ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად.

ამ პოსტზე არჩევამდე ა. ა. სალეჰი ეიმენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტთ